რედაქცია: ფრეილინის ქუჩა, № 13. ტფილისი

ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 1 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა კითხ. გამავრცელ. საზ." წიგნის მაღაზიას.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა.

გაზეთის ფასი ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან. თითო ნომერი 3 კაპ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ., მეოთხეზედ 5 კ.

ადრესი Тифлисъ, Фрейлинская № 13 Редакція „Цнобисъ Пурцели".

## გაზეთის ფასი ამ წლის დამლევამდე ერთი მანეთი

## „ცნობის ფურცელი"

გამოდის ყოველ-დღე, კვირა-უქმეების შემდეგაც

**გაზეთის ფასი:** ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.

სხვა ვადით გაზეთის დაკვეთა არ შეიძლება.

თითო ნომერი ღირს ყველგან 3 კაპ.

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კ. მეოთხეზედ 5 კაპ.

იმ ხელის მომწერთა, რომელთაც წლიური ფასის ერთბაშად შემოტანა გაუძნელდებათ, რედაქცია შეღავათს აძლევს: ხელის მოწერის დროს 2 მანეთი წარმოადგინონ და მერმე ყოველ თვე-და-თვე თითო მანეთი, ვიდრე 6 მანეთს შეასრულებდნენ.

სოფლის მასწავლებლებს გაზეთი წლიურად 5 მანეთად დაეთმობათ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, Фрейлинская, № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели".

## რედაქციისაგან

„ცნობის ფურცლის" ნომრები 1-დამ მე-12-მდე, დასტამბული 1500 ეგზემპლიარად, უკვე დაურიგდა ხელის მომწერნთ. ახალნი ხელის მომწერნი გაზეთს მიიღებენ მხოლოდ მე 13 №-დან.

ქ. ქუთაისი
ქალაქის თეატრი
ქართული დრამატ. საზოგადოების დასის
რეპერტუარი
მეორე წარმოდგენა
ოთხშაბათს, 6 ნოემბერს
**ხათაბალა**
კომედია 4 მოქმედ. და 6 სურ. გ. ნ. სუნდუკიანცისა
მესამე წარმოდგენა
კვირას, 10 ნოემბერს
**ჟან-ბოდრი**
კომედია 4 მოქმედ. თარ. ფრანგულიდგან.
ამ პიესებში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, აკალოშვილისა, ჩერქეზიშვილისა, გამყრელიძისა, ჩხეიძისა, ივანიძისა. ბ-ნი: აბაშიძე, ყიფიანი, მარჯანიშვილი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ბალანჩივაძე, თუთბერიძე, ნემო, გიორგაძე, თამაზიშვილი და სხვანი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზე
რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი.
ადმინისტრატორი—კ. შათირიშვილი.
(10—ფ.—3)

## დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა".

(„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან").

2 ნოემბერი.

**პეტერბურგი.** 4 ნოემბერს დანიშნულია ნათლობა ახლად შობილის დიდის მთავრის რომან პეტრეს ძისა

განჩინების გამოცხადება ოლგა პალემის საქმის შესახებ უმართებულესმა სენატმა გადასდო ერთის კვირით.

ოდესის სასამართლოში დაიწყეს საქმე ხმოსანის ბედრინისა, რომელსაც ბრალდება ცილის წამება.

**ვარშავა.** ოდესის სასამართლოში დაიწყეს საქმე ექიმის ზაიდოვსკისა.

**სტამბოლი.** სომეხთა საერთო კრებამ უდავიდარაბოთ ამოირჩია სასულიერო და საერო წევრები პატრიარქის საბჭოსი. საერო წევრთა შორის ამორჩეულია გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი არტინ-ფაშა. ახალის პატრიარქის ამორჩევა მოხდება დამდეგ კვირას.

**ნიუ-იორკი.** სტატსკი სეკრეტარმა ოლნეიმ უბრძანა ელჩს ტაილორს მადრიდში, დაბეჯითებით აუწყოს ისპანიის მთავრობას, თუ რა ზარალს აძლევს ამერიკას ვაჭრობა კუბასთან.

**რომი.** სერბიის მეფე ჩამოვა რომში 25 ნოემბერს. ვოგზალზე დაუხვდება იტალიის მეფე დიდებულებითურთ; კვირინალში დაუხვდება დედოფალი. მეორე დღეს ნადიმი იქნება სასახლეში. 28-ს ჯარების გასინჯვა; მეფე უკან დაბრუნდება იმავე დღეს საღამოზედ.

**რომი.** გამოცხადებულია მაკარის დაწვრილებითი მოხსენება პაპთან, შესახებ მაკარის აბისინეთში ყოფნისა და მოლაპარაკებისა მენელიკთან. მას შემდეგ, რაც მაკარი მიუღია მენელიკს და გადუცია პაპის წერილი, მენელიკს 28 აგვისტოს მოუწვევია მაკარი და უთქვამს, რომ ყველა ტყვეთ განვათავისუფლებ, გარდა ოფიცრებისაო. მეორე დღეს ხმა გავრცელდა, რომ ყველა ტყვეთ გაანთავისუფლებენ და გაგზავნიან დორიბუთში ორი კვირის შემდეგაო, რადგან ორი კვირა მოუნდება ტყვეთა ერთად მოგროვებას სხვა-და-სხვა კუთხებიდანო; მაგრამ 5 სექტემბერს ადისაბედსუსში მოვიდა შიკრიკი ზღვის ნაპირ ადგილებიდან და აუწყა, რომ „დელვიკასთეგი" დაუჭერიათ იტალიელებსო. ხმა დადიოდა, რომ იტალია ხელახლად საომრად ემზადება აბისინეთის წინააღმდეგო. ამ ხმებმა საშინლად ააღელვა ხალხი და თავზარი დასცა ყველასაო. ნეგუსმა მყისვე შეკრიბა მრავალ-რიცხვიანი საბჭო, რომლის თათბირი გაგრძელდა რამდენსამე დღეს. 25 სექტემბერს მაკარის აუწყეს იღლგოლმში მენელიკის სახელით ბრძანება, თუ რა მიზეზი უშლის ტყვეთა განთავისუფლებას, ხოლო პირველ ოქტომბერს მენელიკმა მიიღო მაკარი და გარდასცა ცნობილი წერილი პაპის გადასაცემად.

**სოფია.** საარჩევანო აგიტაცია დღითი დღე ძლიერდება. სტოილოვი გაემგზავრა ჩრდილო და სამხრეთ თემებში მთავრობის პროგრამის შესაცვლელად. დანარჩენი მინისტრებიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ არჩევანებში გასამარჯვებლად. ოპოზიციის წინამძღოლნი: ცანკოვი, კარაველოვი, რადოსლავოვი და ტონჩევი ერთად მიდიან თავდაპირველად ფილიპოპოლში.

**ნიუ-იორკი.** ოფიციალურ ცნობებიდან ხმა არის, რომ ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის დამოკიდებულება არც ისე საშიშარი არის, როგორც ხმა გავრცელდაო.

## ახალი ამბავი

⁂ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ მთავრობამ გადასწყვიტა გააკეთოს ნავთის მილი სადგურ ხაშურიდგან ბათომამდე. ახლა, როგორც შევიტყეთ, ხსენებულის ნავთის მილის გასაკეთებლად დაუნიშნავთ ინჟენერი ვარტენბურგი და მის ამხანაგად ინჟენერი ნეჩაი. ნავთის მილის გასაკეთებლად მთავრობას უკვე გადაუდვია 5,105,000 მანათი. ამავე ფულით უნდა გამოიკვლიონ კიდეც გზა მილის გასაყვანად, რადგან როგორც ამოჩენილა, ნავთის მილის გაყვანა იმ გზით, სადაც ეხლა რკინის ლიანდაგია, განსაკუთრებით სურამის აღმართზედ, ყოვლად შეუძლებელია და ამიტომ საჭიროა, რომ სხვა გზები აირჩეს ნავთის მილის გასაყვანადო.

⁂ უკანასკნელმა წყალდიდობამ, თითქმის ყველა ხიდები გააფუჭა, განსაკუთრებით მტკვარზე. ეხლა, როგორც სოფ. აწყურიდან გვატყობინებენ, ადგილობრივი გამგეობა უკვე შესდგომია აწყურის ხიდის შეკეთებას.

⁂ გუშინ, კვირას, როგორც იყო დაიწყო წარმოდგენები ახალ სახელმწიფო თეატრში. წარმოდგენა სადღესასწაულო იყო, პირველი წარმოდგენა უფასო იყო და დიდძალი ხალხი დაესწრო მაღალ საზოგადოებიდგან და უფროსი მოხელენი სამხედრო თუ სხვა სახელმწიფო დაწესებულებიდან. დაწვრილებითს ამბავს სადღესასწაულო წარმოდგენისას მკითხველებს ხვალ შევატყობინებთ.

⁂ ტფილისის მესამე გიმნაზიის დირექტორმა ვიქტორ ანტონის ძემ მარტინოვსკიმ, ავადმყოფობისა გამო, თხოვნა შეიტანა, სამსახურიდგან დამითხოვეთო. ამბობენ, მის მოადგი-

ლედ დანიშნული იქმნება იმავე გიმნაზიის ინსპექტორი ფრიდხირ რომანის ძე კრეისბერგი, რომელიც აგერ ორი წელიწადია, რაც დირექტორის თანამდებობას ასრულებს.

*** „თბილისის საზოგადოების სომხურ წიგნების გამოცემის“ ანგარიშიდანა სჩანს, რომ 1880 წლიდან 1896 წლამდე საზოგადოებას გამოუცია სომხურ ენაზე 119 წიგნი, მათ შორის 26 საყმაწვილო წიგნი, 20 სახალხო ბიბლიოთეკებისთვის, 15 საყოველთაო დასაკითხი და სამეცნიერო წიგნი, 26 ბელეტრისტიულ ხასიათის, 13 ისტორიული წიგნი, 4 სახელმძღვანელო წიგნი, 4 სომხის მწერალთა ნაწარმოები და 1 ბიბლიოგრაფიული.

*** გაზ. „მშაკს“ სწერენ რუშტადან, რომ 5 და 6 ოქტომბერს განუწყვეტელი წვიმების გამო საშინელი წყალი მოვარდა და სულ ერთიანად წალეკა, რაც კი მდინარეს ახლო ნაპირებზედ იყოვო: შენობები, საქონელი საწყობებში, გემები და ხომალდები სულ ერთიანად გაანადგურა და წალეკაო. ქალაქ ენზელში წყალმა წალეკა ორმოცზე მეტი სადგომები და შენობებიო. ბევრი კაციც დაღუპულა. მაგისთანა წყლის მოვარდნას ჯერ არვინ მოსწრებულა და სწორედ შეორედ მოსვლას მოაგონებდა კაცს, ისეთი წარღვნასებური წვიმა მოვარდაო.

*** შარშან ქალაქის საბჭომ დაარსა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც უნდა წარედგინა თავისი აზრი მასზედ, თუ სად უფრო სამჯობინო იქმნება ცეცხლის საქრობ რაზმისთვის სახლის აშენება—იქვე, სადაც მოთავსებულია ეს რაზმი დღეს, თუ სხვაგან სადმე მარჯვე ადგილას. იმ დროს ლაპარაკი იყო, ვითომც სამღვდელოება აპირებს გაჰყიდოს დღევანდელი შენობა სემინარიისაო და სხვაგან აიშენოს თავისთვის უკეთესი სახლიო. საბჭოს კომისიამ გასინჯა შენობა სემინარიისა, მაგრამ ცეცხლის საქრობ რაზმისთვის არ მოიწონა, რადგან ეზოს აკლია შესაფერი სიფართოვე. მის შემდეგ ხმოსანთა შორის აღიძრა სურვილი, რომ სემინარიის შენობა მაინც შეიძინოს ქალაქმა თავის მრავალგვარ დაწესებულებათათვის, ხოლო ეს სურვილი დღევანდლამდე მარტო სურვილად დარჩა. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქალაქის გამგეობამ, თანხმად მას ახალ ჰგვრის ბ-ს გერმიშევის წინადადებისა, გარდასწყვიტა შეჰკრიბოს ცნობები, რა პირობით შეიძლება ამ შენობასა და მამულის შეძენა, რომელი დაწესებულება შეიძლება მოათავსოს მასში ქალაქმა, რა ეხარჯება ამ დაწესებულებათა სახლების ქირაში და საზოგადოდ რამდენად სასარგებლო იქმნება სყიდვა ამ სახლისა. ხსენებულ ცნობათა შეკრება გამგეობამ მიანდო აღნიშნულს წევრს, ბ-ნ ვერმიშევს, რომელმაც მოკლე დროში უნდა წარუდგინოს მას ყოველივე დაწვრილებული ამბავი საქმისა.

*** გაზ. „ნოვ. ობოზრ„—სიტყვით ამ ცოტას ხანში მოსკოვში გაიმართება ეგრედ წოდებული ქართული სადამო. სალამო გაიმართება მოსკოვის კეთილშობილთა დარბაზში, სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ ზოგიერთი ცნობილი მომღერალი ქალი და ვაჟი—არტისტნი. პროგრამა საინტერესო; სხვათა შორის ქართული ხორო იმღერებს ქართულ ხმებს ქართულსავე ისტორიულ ტანისამოსებში და ორკესტრიც შეასრულებს ნოტებზედ ახლად გადაღებულ ქართულ პიესებს.

ხოროს და ორკესტრის ლოტბარად იქნება ცნობილი მემუსიკე ა. ნ. კოროშენკო. სრული იმედია, რომ დიდძალი ხალხი დაესწრება ქართულს სალამოს.

*** ჩვენ ნამდვილ წყაროებიდამ გადმოგვცეს, რომ საბჭოს სამოსწავლო კომიტეტს ქალაქის სახელოსნო სასწავლებლისას დაუდგენია გააუქმოს მომავალ წლის 1 სექტემბრიდამ თანამდებობა ხსენებულ სასწავლებლის ინსპექტორისა. ინსპექტორად აქამომდე იყო ბ-ნი ვ. ი. რცხილაძე, რომელიც სინიდისიერად, ბეჯითად და სანაქებოდ ასრულებდა თავის მოვალეობას. საკვირველია, თუ კი დღემდე საჭიროდ მიაჩნდა კომიტეტს თანამდებობა ინსპექტორისა, ამას იქით რაღად დაუნახავს იგი მომეტებულად, როდესაც სასწავლებელი თანდათან ფართოვდება და საქმეც მასში დღითი-დღე იზრდება.

*** ქ. დუშეთიდან გვწერენ: გუშინ, სოფ. შაშაბუროში დავით კეზელის მოჯამაგირემ, მახარაძემ მოჰკლა აზნაური ბარამ შაბურიშვილი. როგორც ამბობენ, აი მიზეზი კაცისკვლელობისა: ბ-ნ კეზელის საქონელი შესულიყო მოკლულ შაბურიშვილის საბალახოში და უკანასკნელს დაემწყვდია, და რამდენსამე სულს საქონელს აღარ აძლევდა პატრონს. ამასობაში ჩხუბი გამართულიყო და გაბრაზებულ მახარაძეს ჯავრი ამოეყარა იარაღით. მკვლელი შეიპყრეს და გამოძიება სწარმოებს.

## პოლიციის მატიანე

—

გუშინ წინ, სალამოს 6 საათზედ, პოლიციის მეოთხე განყოფილებაში მოვიდა ქვრივი ელენა საპიცაია და გამოაცხადა, რომ ერთათ ერთი ლეიბი მქონდა და ისიც მომპარესო. პოლიციის მოხელემ საყვარელიძემ რამდენსამე შენიშნულ კაცს გაუჩხრიკა სახლები, მაგრამ ვერა იპოვნა-რა. ღამის 12 საათზედ კოჯორის ქუჩაზედ მცხოვრებს რაჭველს ანტონ გოგნიძეს შეშინებოდა და ისევ უკანვე მოეტანა ლეიბი და დაეგდო ელენა საპიცაიას ბალკონში.

—

2 ნოემბერს, ჰავჰავაძის ქუჩაზედ, ეტლი დაეჯახა ტფილისის მოქალაქის ასლამაზოვის 5 წლის ქალს სირანუშს. ბავშვი ცოტათი დაშავდა. მეეტლე ფარაჯ-ოღლი სამართალში მისცეს.

—

2 ნოემბერს, სალამოს 7 საათზედ ,ავლაბარში დილიჟანსი რომ მოვიდა, თავადს იოსებ ზაქარიას ძეს ანდრონიკაშვილს ვიღამაც მოჰპარა ბოხჩა საცვალითა და საჭირო ქაღალდებით. ბოქაულის ბრძანებით პოლიციამ დააპატიმრა იმ დროს ავლაბრის მოედანზედ მყოფი 14 ქურდ-ბაცაცა, რომელთაც პოლიცია კარგად იცნობს. ცოტა ხნის შემდეგ პოლიციელმა მაძალევსკიმ პოლიციის კარებზედ იპოვნა დაკარგული ბოხჩა.

## სასამართლოს მატიანე.

### ჟურიების საქმე ქუთაისში.

ჩვენს გაზეთში მოყვანილ იყო დაწვრილებითი ცნობა შესახებ ჟურიების საქმისა ქუთაისის ოლქის სასამართლოში.

სასამართლომ შემდეგი განაჩენი დაადგინა: ჯიბლაძე გაგზავნილ იქმნას ციმბირის შორეულ ადგილში უვადოდ.

სალრიშვილს, რევიშვილს, შანიძეს კ., შანიძეს ი., სულაკაძეს, ავალიანს და ლევიძეს—ჩამოერთვათ ყოველივე უფლება და გაგზავნილ იქმნან ციმბირში 3—6 წლით.

ლორთქიფანიძე—ტობოლსკის გუბერნიაში საცხოვრებლად. ბალანჩივაძე და ლოსაბერიძე—პატიმართა როტაში 2 წლით და უფლებანიც ჩამოერთვას.

დიხომინჯიას და ტყეშელაშვილს ციხეში დაპატიმრება 2 წლით.

ლევიძეს, ლომიძეს და ნიჟარაძეს პატიმართა როტაში 1 წლით და 8 თვით.

კაშია და ბერეკაშვილი—პატიმართა როტაში ერთის წლით.

ვასაძე, კუხალეიშვილი და ქეიშვილი—ციხეში დაპატიმრება ერთის წლით.

ავთანდილოვი, აქოევი, მურადოვი, მეგრელიძე და გაბიდაძე—პატიმართა როტაში 8 თვით.

ჯოხია და ნიშნიანიძე—ციხეში დაპატიმრება 8 თვით.

ერისთავი—ასტრახანის გუბერნიაში დასახლება, უფლების ჩამორთმევით.

დანარჩენნი ბრალდებულნი ოლქის სასამართლომ ყველანი გაასამართლა·

ამბობენ, ყველა გამტყუნებულნი არ დათანხმდნენ ოლქის სასამართლოს განაჩენს და საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატაში გადავა.

—

### ბ-ნ უსპენსკის და პლუშჩევსკის საქმე.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამ ექვსიოდე წლის წინად, როცა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ ნ. ი. ნიკოლაძის მეთაურობით გამოდიოდა, ოფიციალურ რედაქტორად ბ-ნი უსპენსკი იყო. იმ ხანებში თბილისში თავი მოიკლა საზღვარ-გარეთელ ვაჭარმა მანიმ, გვარ-ტომობით სომეხმა. ამ ამბავმა მაშინ ძრიელ აალელვა ტფილისის საზოგადოება და სხვათა შორის გაზეთ «ნოვოე ობოზრენიემ» ბევრი მწარე და ბასრი წერილები დასწერა მანის სიკვდილზე და საზოგადოდ ბევრი მოხვდა მიზანში ამოღებულს ვექილს პლუშჩევსკის, რადგან, როგორც დამტკიცდა, პლუშჩევსკის ისე გაეხლართა მანის საქმეები, რომ ამ უკანასკნელმა არჩია თავის მოკვლა. ეს საქმე დიდხანს აინტერესებდა ყველას და თუ მკითხველებს ახსოვს ერთხანად ბ-ნი პლუშჩევსკი კლუბიდგანაც-კი გამორიცხეს. სწორედ ეს დიდი ხნის საქმე გაირჩა გუშინ სასამართლო პალატაში. ბ-ნი პლუშჩევსკი უჩიოდა „ნოვოე ობოზრ.“ ოფიციალურს რედაქტორს მ. უსპენსკის იმაზე, რომ გაზეთში ცილი შემწამაო.

სასამართლოს თავმჯდომარედ იყო ლ. ლ. ფატეევი; წევრებად: ს. მ. მალინოვსკი და ნ. ვ. სტრუვე; მდივნად ა. ა. მაქსიმოვიჩი. ამტყუნებდა თვითონ მომჩივარი ვექილი პლუშჩევსკი, ბრალდებული თვითონ იცავდა თავს. პროტოკოლის და საქმის წაკითხვის შემდეგ თავ-მჯდომარემ სთხოვა ორსავე მხარეს შერიგებულიყვნენ. ამაზედ პლუშჩევსკიმ სთქვა: თუ ბ-ნი უსპენსკი აღიარებს, რომ რაც იმ ხანებში გაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ დაიწერა, შეცდომით მოუვიდა ანუ განგებ დასწერა და მაშინ შევურიგდებიო. ხოლო მ. უსპენსკიმ ამ გვარ პირობებით შერიგებაზე სრული უარი განაცხადა და სთქვა, რომ რაც იმ ხანებში ბ-ნ პლუშჩევსკიზედ დაწერილ იყო, არც მოგონილია და არც განზრახ არის დაწერილიო, გაზეთში სრულს ჭეშმარიტებას ვწერდით და რაც მაშინ გვითქვამს, იმას დღესაც განვიმეორებო: მე კიდევაც ვიტყვი, რომ პლუშჩევსკი რომ ისრე არ მოქცეოდა განსვენებულ მანის, იგი თავს არ მოიკლავდა და უპატრონოდ არ დასტოვებდა თავის ცოლ-შვილსო და სხვა და სხვა... მოსამართლენი მოდავეთა ბაასის შემდეგ გავიდნენ განჩინების დასადგენად. ორი საათის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა შემდეგი: ბ-ნი მ. უსპენსკი იცნო სამართალმა დამნაშავედ და გადუწყვიტეს 13 დღით სამხედრო გაუპტვახტში დაპატიმრება და ჯარიმად გადახდა 166 მ. და 60 კაპ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 го Ноября, 1896 г· სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ხიგ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი მაკ. ბუნია